Agricultural Projects Management Agency
Digitally signed by Agricultural Projects Management Agency
Date: 2019.02.15 17:32:10 +04'00'

Tegeta Motors LLC
2019.02.18
14:19:01 +04'00'

ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/44

(კონსოლიდირებული ტენდერი CON180000105)

ქ. თბილისი 15 თებერვალი, 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის გიორგი ჯიბლაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ დარიასპანაშვილის (ბრძანება №190; გაცემული 2018 წლის 16 ნოემბერს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის, 2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, „2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №2305 განკარგულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც შეისყიდის საქონელს;

1.1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.1.6. „სამუშაო დღე" ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე;

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - 2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის **(CON180000105)** სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.9. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების (შემდგომში - აკუმულატორები) (CPV - 31400000) შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი - მონტაჟი), რომლებიც აკმაყოფილებენ კონსოლიდირებული ტენდერის **(CON180000105)** სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მაჩვენებლებს. ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის დასახელების, ტექნიკური მახასიათებლების, რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესახებ განისაზღვრება დანართი №1-ით.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") **1402.00 (ერთი ათას ოთხას ორი)** ლარი.

3.2. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

4.2.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2 იმისათვის რომ გარანტია გავრცელდეს შესყიდვის ობიექტზე, აუცილებელია მონტაჟი განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ. იმ შემთხვევაში თუ აკუმულატორის ავტომანქანაზე მონტაჟი განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში გარანტია უნდა გავრცელდეს მონტაჟიდან არანაკლებ 3 (სამი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ აკუმულატორის ავტომანქანაზე მონტაჟი განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ - გარანტია უნდა გავრცელდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წლის განმავლობაში. თუ შესყიდული (შემსყიდველთან დასაწყობებული) აკუმულატორის მონტაჟი არ განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, მასზე გარანტია არ გავრცელდება. (აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება 5.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.)

5.3 იმ შემთხვევაში თუ აკუმულატორის შესყიდვა/მონტა

ჟი განხორციელდება საპატრულო სახაზო მანქანისთვის, 1-34 პოზიციის ჩათვლით მოცემულ აკუმულატორებზე გარანტია არ გავრცელდება, ხოლო 35 პოზიციაზე მოცემული აკუმლატორის საპატრულო სახაზო მანქანისთვის შესყიდვა/მონტაჟის შემთხვევაში უნდა გავრცელდეს 2 (ორი) წლიანი გარანტია 5.2 პუნქტის შესაბამისად. (აღნიშნული პუნქტი უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ შესაბამისმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ).

5.4 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას საქონლის საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის ან/და ნაკლის აღმოფხვრა აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.5 საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში მიტანისას.

5.6 მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5.7 ხარვეზ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს გაფრთხილებას კონკრეტულ ხარვეზ(ებ)თან დაკავშირებით, რის გამოსასწორებლადაც შემსყიდველს ეძლევა 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღე. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველმა მოცემულ ვადაში ვერ ან არ უზრუნველყო მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორება, მიმწოდებელი უფლებამოსილია კონკრეტულ აკუმლატორ(ებ)ზე შეწყვიტოს გარანტიის მოქმედება. ხარვეზებად განიხილება:

ა) ავტომანქანას აქვს გაუმართავი ელ. მოწყობილობები, რაც იწვევს დენის კარგვას ან ზედმეტი მუხტის მიწოდებას;

ბ) სახეზეა რემონტის მცდელობა;
გ) აკუმულატორი არ არის დამაგრებული საშტატო ბუდეში;
დ) აკუმულატორს გააჩნია მექანიკური დაზიანება;
ე) დაზიანებულია შტრიხ-კოდი, რომელიც გამოიყენება აკუმულატორის იდენტიფიცირებისათვის;
ზ) აკუმულატორი შეუსაბამოა საგარანტიო დოკუმენტთან, რომელიც კონტროლდება შტრიხ კოდის მიხედვით (მითითებულია საგარანტიო დოკუმენტში);
თ) დარღვეულია პერიოდული შემოწმებები.

5.8 შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მონტაჟიდან/შემოწმებიდან არაუადრეს 5 (ხუთი) და არაუგვიანეს 7 (შვიდი) თვისა თითოეული შესყიდვის ობიექტი გაატაროს საგარანტიო შემოწმებაზე მიმწოდებლის სერვის-ცენტრ(ებ)ში. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ ერთ ლოკაციაზე, ერთდროულად მობილიზებული იქნება არანაკლებ 5 (ხუთი) გარანტიაზე მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების აკუმულატორი, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავად ჩაატაროს საგარანტიო შემოწმება შემსყიდველის მიერ საქართველოს მასშტაბით მოთხოვნილ მისამართზე. საგარანტიო შემოწმებასთან დაკავშირებით, მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო შემოწმების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) თვით, 1 (ერთი) თვით და 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, მოკლე ტექსტური წერილის (SMS) საშუალებით შეატყობინოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულ შემსყიდველი ორგანიზაციის თითოეულ საკონკტაქტო პირს საგარანტიო შემოწმების ვადის დადგომის შესახებ.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათი კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობაში.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

6.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში მიტანისას.

6.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლები; კერძოდ, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"-ს ლოგისტიკისა და შესყიდვების განყოფილების ტრანსპორტის მენეჯერი ნოდარ ქიტიაშვილი ან/და ამავე განყოფილების ტრანსპორტის სპეციალისტი მამუკა ჭიპაშვილი.

7. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: nodar.qitiashvili@apma.ge, მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი: tender@tegetamotors.ge).

7.2 აკუმულატორების დემონტაჟი-მონტაჟი მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს რიგგარეშედ სერვის-ცენტრებში შემდეგ მისამართებზე: **ქ. თბილისი**: ცენტრალური ფილიალი - დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. #5, **პეპელას ფილიალი** - კახეთის გზატკეცილი 63, **პეპელას ფილიალი N2** - კახეთის გზატკეცილი 15, **ვაკის ფილიალი** - უნივერსიტეტის ქ. N6, **ქ. ქუთაისი** - ნიკეას მე–9 ჩიხი N2ა, **ქ. ფოთი** - ლარნაკას N2, **ქ. ბათუმი** - აეროპორტის გზატკეცილი 263 ბ, **ქ. თელავი** - სოფელი ვარდისუბანი, **ქ. ახალციხე** - ახალი

ხიდის აღმოსავლეთ მხარეს, მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპირო, **ქ. გორი** - შინდისის გზატკეცილი N2, **ქ. ზუგდიდი** - სოფელი რუხი, **ქ. მარნეული** - 26 მაისის ქუჩა.

7.3 აკუმულატორების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ს. ახმეტელის 10ა - დასაწყობების პირობებში.

7.4 "მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას თუ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მისაწოდებელი აკუმულატორების რაოდენობა ერთ ჯერზე მინიმუმ 5 (ხუთი) ერთეულია.

7.5 „მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

7.6 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

8.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ია: ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"-ს ლოგისტიკისა და შესყიდვების განყოფილების ტრანსპორტის მენეჯერი ნოდარ ქიტიაშვილი ან/და ამავე განყოფილების ტრანსპორტის სპეციალისტი მამუკა ჭიპაშვილი.

8.4 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ანგარიშსწორება განახორციელოს მიწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

8.6 ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები

9.1 იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან მინიმუმ 2023 წლის 15 ივნისის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება 2023 წლის 15 ივნისამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში.

9.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.5 გარანტია უნდა იყოს უპირობო ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველივე მოთხოვნისთანავე.

9.6 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში არ უნდა იყოს მითითებული, რომ გარანტია მცირდება შესრულების პროპორციულად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით, კონსოლიდირებული ტენდერითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

10.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება არ აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ დღეში 50 (ორმოცდაათი) ლარისა.

10.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

10.5 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.5 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.6 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.7 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":
ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"	შპს ,,თეგეტა მოტორსი"
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6	მის.: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5
ელ. მის: nodar.qitiashvili@apma.ge	ელ. მის: tender@tegetamotors.ge
ტელ: 577 08 06 21	ტელ: 226 44 44
ს/კ: 404923785	ს/კ: 202177205
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE80TB0600000024467853
_________________	_________________
დირექტორის მოადგილე	გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
/გიორგი ჯიბლაძე/	/თეიმურაზ დარისპანაშვილი/

APMA
AGRICULTURAL PROJECTS MANAGEMENT AGENCY
404923785

დ ა ნ ა რ თ ი N1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2019 წლის 15 თებერვალს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო N 01/44) ერთად.

შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდ.	აკუმულატორის ბრენდი	აკუმულატორის მოდელი	ბრენდის წარმოშობის ქვეყანა	საგარანტიო ვადა (თვე)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)	მიწოდების თარიღი
აკუმულატორი	7	Macpower	SMF56030	თურქეთი	36	124	868	ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიხედვით
აკუმულატორი	3	Macpower	SMF105D31L	თურქეთი	36	178	534	
						სულ:	*1402*	

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
ს/კ: 404923785
დირექტორის მოადგილე
გიორგი ჯიბლაძე

„მიმწოდებელი“
შპს თეგეტა მოტორსი
ს/კ: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ დარისპანაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

15 თებერვალი, 2019 წელი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ კონსოლიდირებული ტენდერის (CON180000105) თანახმად ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის ა/წ 15 თებერვალს გაფორმებული N01/44 ხელშეკრულების ფარგლებში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დირექტორის მოადგილე

გ. ჯიბლაძე